ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N11

28 ივლისი 2017 წ.

დაბა ქედა

„ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 21 ნოემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს,

მუხლი 1

,,ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 21 ნოემბრის №33 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო - ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდი 010260020.35.134.016152. 25/11/2014) შეტანილ იქნას შემდეგი სახის ცვლილება:

1. დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტს „ა“ და „დ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება;

დ) მატერიალური უზრუნველყოფის განყოფილება.“

2. დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის დაემატოს „მე-2¹“ პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„2¹. ადმინისტრაციული სამსახურის შემადგენლობაში შედის ასევე:

ა) პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სოფლის-მეურნეობისა და მთის განვითარების საკითხებში;

ბ) პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი გენდერული თანასწორობის სახითხებში.“

3. დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების ფუნქციები“

4. დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება უზრუნველყოფს:“

5. დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის პირველ პუნქტს დემატოს „მ¹“

ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

„$მ^1$) ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებულ სისტემაში (eHRMS) საჯარო მოხელეთა პირადი მონაცემებისა და მათ შესახებ გამოცემული სამართლებრივი აქტების ასახვა;“

6. დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-7 მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მატერიალური უზრუნველყოფის განყოფილების ფუნქციები“

7. დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-7 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მატერიალური უზრუნველყოფის განყოფილება დადგენილი წესით უზრუნველყოფს:“

8. დადგენილებით დამტკიცებული დებულების დაემატოს „მე-7^1“ და „მე-7^2“ მუხლები შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 7^1. პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ფუნქციები სოფლის-მეურნეობისა და მთის განვითარების საკითხებში

სოფლის-მეურნეობისა და მთის განვითარების საკითხებში პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი უზრუნველყოფს:

ა) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის-მეურნეობის სხვადასხვა დარგების განვითარების მიზნით პრიორიტეტებისა და მიმართულებების განსაზღვრა;

ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით აგრაგული რეფორმების განხორციელება, სამინისტროების (საქართველო, აჭარა) და ადგილობრივი თვითმართველობის მიერ ამ დარგში შესაბამისი მიზნობრივი პროგრამების შემუშავება, ხელშეწყობა და კოორდინაცია;

გ) მთის განვითარების მიზნით ადგილობრივ/მიზნობრივი პროექტების შემუშავების უზრუნველსაყოფად წინადადებების მომზადება;

დ) ხე-ტყის სოციალური ჭრასთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობა და საკითხის განხილვაში მონაწილეობის მიღება;

ე) მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის საკითხებზე მუშაობა და საკითხის განხილვაში მონაწილეობის მიღება;

ვ) მოქმედი კანონმდებლობით, გამგეობის დებულებითა და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელება.“

„მუხლი 7^2. პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ფუნქციები გენდერული თანასწორობის საკითხებში

გენდერული თანასწორობის საკითხებში პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი უზრუნველყოფს:

ა) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ქალისა და მამაკაცის თანაბარი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფა, გენდერული მეინსტრიმინგის ხელშეწყობა და გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის აღმოფხვრა;

ბ) ქალთა მიმართ დისკრიმინაცია, ოჯახური ძალადობის ფაქტების მონიტორინგი და მათი აღმოფხვრის გზებზე წინადადებების შემუშავება;

გ) ოჯახური ძალადობის პრევენციის, საზოგადოებრივ საქმიანობაში ქალთა აქტიური მონაწილეობის თემებზე, ცნობიერების ასამაღლებლად მოსახლეობასთან შეხვედრების მოწყობა;

დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის

მიზნით საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება;

ე) გენდერულ საკითხებთან დაკავშირებით წინადადებების შემუშავება და გამგებლისთვის წარდგენა;

ვ) გენდერულ თემებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან კომუნიკაცია, ახალი მუნიციპალური სერვისის - ღია სივრცე საზოგადოებისათვის „ქალთა ოთახი“-ს ხელმძღვანელობა, კოორდინაცია;

ზ) გენდერული თანასწორობის საკითხებზე შემოსული დოკუმენტაციის მიღება, დამუშავება და შესაბამისი რეაგირების განხორციელება;

თ) მოქმედი კანონმდებლობით, გამგეობის დებულებითა და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელება.“

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ამირან ცინცაძე**